განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 01-15-06-2/1699
„06“ 02 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

მოგეხსენებათ, 2006 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „საქართველოსა და INTAS–ს შორის საქართველო – INTAS – ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენცია“.

წარმოგიდგენთ „საქართველოსა და INTAS–ს შორის საქართველო – INTAS – ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ოქმის პროექტის ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს.

მოგმართავთ თხოვნით, გვიშუამდგომლოთ შესაბამის უწყებებთან შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულებისათვის, ზემოხსენებული ოქმის ძალაში შესვლის მიზნით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

ღრმა
პატივისცემით,

ალექსანდრე დიდებულიძე
მინისტრის პირველი მოადგილე

თბილისი 0102, დავითაღლის ქ. 52; ტელეფონი: 95 99 12 ფაქსი: 95 32 13 / 95 51 99
www.mes.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 253/14
20 07 2007

დასკვნა

"საქართველოს და INTAS–ს შორის საქართველო - INTAS-ს 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ოქმის" პროექტის თაობაზე

სამინისტრომ განიხილა "საქართველოს და INTAS–ს შორის საქართველო-INTAS-ს 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ოქმის" პროექტი და საქართველოს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ოქმის დადება.

ლევან ჯოლაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შოთ. ჩიტაძის ქ. №4; ტელ.: (995 32) 284648; ფაქსი: (995 32) 284678
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

8238-13
28.11.07

№ 07-04/3100
29 03 2007

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 13 თებერვლის №2/2190-14 წერილი, რომელიც ეხება "საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო-INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ოქმის პროექტს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ აქვს. ამასთან, ოქმით გათვალისწინებული საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ღრ ღრ პატივისცემით,

გიორგი ბრაბრელიძე
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი, 0162, აღაშაძის N 70 www.mof.ge 70, I. Abashidze st. 0162 Tbilisi, Georgia
ტელ. Tel.: (995 32) 226805, 290778, ფაქსი Fax: (995 32) 297368

საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№01/23103-1633
02-03 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 13 თებერვლის №2/2189 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო–INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ოქმის პროექტი და გაცნობებთ:

მიზანშეწონილია, ოქმის პროექტის პრეამბულის შემდეგ ჩამოყალიბდეს პირველი მუხლი შემდეგი რედაქციით: „კონვენციის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:...(ხოლო შემდგომ მე-5 მუხლის ცვლილების ტექსტი)". ოქმის მე-2 მუხლად, მართებულია, გათვალისწინებულ იქნეს მისი ძალაში შესვლის წესი.

„საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო–INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ" კონვენცია რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 22 დეკემბრის №3992-რს დადგენილებით. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ოქმი ექვემდებარება ასევე რატიფიცირებას – „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით,

კონსტანტინე კორკელია
მინისტრის პირველი მოადგილე

10.11.86
61-28828

30 Rustaveli ave., Tbilisi Georgia. Tel./Fax (995 32) 75 82 37, E-Mail: ministry@justice.gov.ge